ქვირა, 2 მაისი 1910 წ.

გ. ვ. გედევანოვ-მირა ლიანის 25 წ. იუბილეის გამო

№ 17

ᲙᲕᲘᲠᲐ, 2 ᲛᲐᲘᲡᲘ 1910 Წ.

წლიურად **5** მ. ნახევარ წლით **3** მ. ცალკე ნომერი **10** კ. ხელის მოწერა მიიღ. დრ. საზ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან. Тифлисъ, редакція «Театри да Цховреба»

Іос. Зах. Имедашвили.

შინაარსი: მეთაური; აღარ მიყვარხარ **ი. გრიშაშვილი**; ჩემი შენიშვნები **შ. დადიანი**; სურათი **ე. გაბაშვილისა**; მწირი **კიკნა-ფშაველა**; გაათხოვეს! **ნ. ლორთქიფანიძე**; აღტაცება **ი. მუედლიშვილი**; კნუტ გამსუნი **პ. დადვაძე**; მეცხვარის გოდება **გ. შიხიანი**; ბიერსტენე-ბიერნსონი **ცისკარი**; მ- ნ. კროპივნიცკი **ცრემლი**; ნინო **დ. აღლაძე**; მუსიკოსი კ. ფოცხვერაშვილი; დიქცია **გ. ჯაბადარი**. ამდროს ვივიწყებ **გ. ფოცხოველი**;

2 ᲛᲐᲘᲡᲘ 1910 Წ

ხელოვნება და ხელოსნობა. ჩვენმა წარსულმა ცხოვრებამ, ისტორიის ქარტეხილის მრავალმა ცვალებადობამ ერთი საძაგელი სენი ჩაგვინერგა ძვალსა და რბილში, — მონური სული, ინტრიგანობა, ორპირობა შინ თუ გარედ...

გადაავლეთ თვალი ჩვენს საზოგაოდებრივ ცხოვრებას და დარწმუნდებით, რომ მთელი ჩვენი საზოგადოება, მცირედ გამონაკლით, ზემორეალნიშნული სენითაა დაავადებული...

ქართული თეატრის ყოველი მოყვარული ჰგრძნობს, რომ ჩვენს სცენას ნიჭიანთა სიკოტრე შეეპარა, აღარსად სჩანს ხელოვანი, ყოვლად სრული მსახიობი, რომელსაც შეეძლოს საზოგადოების ყურადღების ზეაღყვანა...

სავალალო კიდევ ის არის, რომ თავისუფალ ხელოვნების ტაძარში ბატონყმურმა, მონურმა, ყალთაბანდურმა სულმა დაიგუბა... ხშირად ქვენა მიზნით, ან ნივთიერ და სხვა მოსაზრებით ისე უდიერად ეპყრობიან ამა თუ იმ სახელოვნო ნაწარმოების გაპიროვნებას, რომ ბრაზი გარჩობს...

ხელოვნებაᲨ ზომა-ნაკლები არა სწამს-რა, ნაკლული-ნახევარი მისთვის არ არსებობს, საჭიროა არა აქვს-რა,—მისი კანონია **სრული სისრულე**, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ. მცირედი გარდამეტება, მცირედი რისამე დაკლება ჰლახავს სიმშვენიერისა და სიწმინდის გრძნობას, საღი სულის მოთხოვნილებას...

ჩვენის დროის მსახიობთა შორის საზოგადოდ და განსაკუთრებით ჩვენს სცენაზედაც არამც თუ ხელოვანთ, ცოტად თუ ბევრად, უნალულო ხელოსანთაც იშვიათად ვხედავთ...

არ არის შემოქმედება, არ არის გაპიროვნება!..

სად არის ხსნა?

პასუხს თვითონ ცხოვრება იძლევა: თუ ხელოვანი არა ხარ, რიგიანი ხელოსანი მაინც იყავ და თუ ესეც არ შეგიძლია—მოშორდი სცენას, მოშორდი და ნუ ჰპილწავ ხელოვნების უმწიკვლო საკურთხეველსო...

სამწუხაროდ ჩვენს სცენაზედ ხშირად ,,ნათელმირნობით", ,,მამიდაშვილობით'', ,,იმას როგორ ვაწყენინოთ''—ის პოლიტიკით აწარმოებდენ საქმეს... რომელიმე კაცი თუ შესაფერი არ იყო თავის წოდებისა, მინიჭებულის მდგომარეობისა, მაინც ფეხქვეშ აქელვინებდენ წმიდათ წმიდას, ჩვენის სცენის აწყმოსა და მომავალს...

ავიღოთ რეჟისორი. სხვისა რა მოგახსენოთ და ჩვენს სცენაზედ მაინც რეჟისორს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სავალოლოდ ძნელად თუ რომელიმე რეჟისორმა გაამართლა თავისი მოწოდება: უმეტესობა ამთგანი რეჟისორად აწერდენ ხელს და არამც თუ წარმოდგენას მოაწყობდენ, მსახიობს წრთვნიდენ რეპეტიციას არც კი დაესწრებოდენ, ანუ თუ ,,რეჟისორობდენ",—პიესის წაუკითხავად.

არც მსახიობნი ეკიდებოდენ თავიანთ საქმეს მონდომებით.

და ყოველივე ეს იმიტომ ხდებოდა, რომ

ორპიროვნული სულითა ვართ გაჟღენთილი,— ,,როგორ ვაწყენინოთ'', — აი არგუმენტაცია ზოგიერთ მეთაურთა...

ვიმეორებ, შეიძლება სხვა რომელსამე საქმეში ივარგოს „ნათლიმამობამ", არა პირდაპირობამ, ხოლო სცენაზედ-კი ამას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან მსახიობის, რეჟისორის, სცენის მოდვაწის ყოველივე ნამოქმედარის ფხიზელი მეთვალყურეა საზოგადოება, მაყურებელი,—და სიყალბე ხანგრძლივ ვერ გასტანს: საზოგადოება ველარ შეურიგდება შინაურ ინტრიგანთა თავგასულობას, მეტ ხორცთა უნიჭობას...

ჩვენი ერთად ერთი ეროვნული-საერთაშორისო, ნაციონალურ-ინტერნაციონალური ტაძარია თეატრი, მას გულცივად ნუ მოვეპყრობით...

ჩვენი თეატრის მესვეურთა და მოღვაწეთ ყოველივე ეს უნდა გაითვალისწინონ, დაჰგმონ ორპიროვნული პოლიტიკა, „ნათლიმამობა", თეატრის არე-მარეს მოაშორონ ყოველი უსარგებლო და მეტბარგი,—თეატრი ხომ საქველმოქმედო დაწესებულება არ არის,—თავი მოუყარონ სასარგებლო მუშა—ელემენტთ და, თუ სამწუხაროდ ჯერ ჯერობით ხელოვანთ ვერ იშოვის,—ხელოსნები მაინც რიგიანი დაიგულოს...

თუ ბუნებამ ხელოვანნი დაგვიძვირა, ხელოსანთ შექმნა ხომ მაინც ჩვენს ხელთაა...

—:—

ახალი გამგეობის საქმიანობა. ქართ. დრამ საზოგ. ახალი გამგეობა დიდის ხალისით შეუდგა საქმიანობას: თავ.-აზნ. თეატრი იჯარით აიღო სამის წლით, მომავალი სეზონისათვის დასის მოწვევა გადასწყვიტა და რეჟისორნიც მოიწვია, განზრახული აქვს დრამატიული კურსების დაარსება, რეპერტუარს ადგენს და სხვ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოველივე ეს გულს სიამით გვივსებს და ჩვენის სცენის განახლებას გვპირდება...

ვერ ვიტყვით, რომ ეს მხოლოდ უბრალო „ფართიფურთი" იყოს, ვინაიდან გამგეობაში საქმის ხალხი, ქართული თეატრის მოყვარულნი მუშაობენ; თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გამგეობის თავმჯდომარე ნ. გ. ქართველიშვილია, უკვე გამოცდილი და საქმის ზედმიწევნით მცნობი, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართული თეატრის საქმე ჯერ-ჯერობით სანუგეშოს მეტს არას გვპირდება...

მაგრამ თვითეულნი კაცნი რაც გინდ დევგმირნი იყვენ, საქმეს ვერ დასძლევენ, თუ შეთანხმებული მუშაობა არ იქნება...

ამ ჟამად ჩვენი სცენა დიდს კრიზის განიცდის, ბევრი ნაკლი აქვს მას: სულიერი და ნივთიერი, შინაური და გარეგნული. ამიტომ თეატრის ინტერესი მოითხოვს ჩვენის სცენის ყველა მოღვაწეთა გაერთიანებას...

ჩვენებური-ძველებური ინტრიგანობა, დიაღაც, რომ ერთხელ და სამუდამოდ დავიწყებას უნდა მიეცეს...

კარგად უნდა გვახსოვდეს რომაული ანდაზა: Concordia parvae res crescunt, diskordia maximae dleiabuntur—თანხმობით პატარა საქმენი იზრდებიან, უთანხმოებით-კი დიდნიც იშლებიანო.

პირად პატივთ მოყვარულნი ვართ, თუ საზოგადო საქმის ნამდვილი მკეთებელნი, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს...

ჯერ-ჯერობით-კი ახალ გამგეობას წარმატებასა და წინსვლას ვუსურვებთ სამშობლო სცენის ასაყვავებლად, ხელოვნების სადიდებლად...

—:—

ა ღ ა რ მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ...

ტოკავდა მკერდი,
შენთვის ლექსს ვწერდი,
მწამდა—მშვიდობას სულსა მოჰბერდი!

**

ქნარი მოვმართე,
შენ ერთს მოგმართე,
შენ კი მომიძღვენ სამარე ფართე...

**

ხელს გკრავ, გიშორებ,—
კვლავ გიმეორებ:
ოცნებას მსხვრეულს ვერ გაასწორებ!

**

ჩაკვდა აკორდი,
ცრემლად დავგორდი...
აღარ მიყვარხარ... გასწი, გამშორდი!..

ი. გრიშაშვილი

ჩემი შენიშვნები

2

სამწუხაროდ სულ საანბანო ჭეშმარიტებაზე უნდა ვილაპარაკოთ ჯერ-ჯერობით, რადგანაც ან სრულიად დავიწყებული გვაქს „თეატრის კაცებს“ ეს ჭეშმარიტებანი ან და კიდევ წაყრუებული.

ოცდახუთმეტი წელიწადია, რაც მუდმივი ქართული დასი არსებობს, რაც ნამდვილსა და შეუწყვეტელს ქართულს სახიობას მკვიდრი საფუძველი მიეცა და ეს არის ბრწყინვალე ხანა **შექმნისა, გაჩენისა, წარმოშობისა**.

ისტორია აქედან იწყება.

წინანდელი—საპატიო და მშვენიერი, მაგრამ მაინც მითოლოგიაა ჩვენი თეატრის მატიანესი.

სინამდვილე-კი ამ ოცდახუთმეტი წლიდან მოდის და ამისი საუკეთესო ბურჯნი არიან: ვ. აბაშიძე, კ. ყიფიანი, ბ. ავალიშვილისა, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, მ. საფაროვ-აბაშიძისა, კ. მესხი და შემდეგში კიდევ ვ. გუნია და ვ. ალექსი-მესხიშვილი.

მაგრამ ეს ისეთი მახლობელი ამბავია, რომ ამას ჯერ ისტორიული საზომით ვერ მივუდგები. ჯერ კიდევ აღტაცებასა გვგვრის ჩვენი პიონერების სცენაზე გამოსვლა და მათ-მიერ განსახიერებული პიროვნებანი. ეს ჯერ კიდევ ხელ-მოსაკიდი თანამედროვე მოვლენაა, მხოლოდ უკვე მომწიფებული, სრულ-ქმნილი და დამთავრებული.

გზა უკვე განვლილია, გზა დიდებით მოსილი და მაღალ-ნიჭიერებით გაშუქებული. ამ „გზა-თელილზე“, მუდამ მადლობით აღვსილი, მოწიწებით ქედს დახრის მომავალი მგზავრი.

მხოლოდ ეს მომავალი მგზავრებიც რომ გაჩნდენ, ესეც უკვე საგრძნობელი ამბავია. და სწორედ ეს არის ასახსნელი და უფრო ფართოდ გამოსაკვლევი, რა მართებთ ამ **მემკვიდრეებს**.

წინაპრებმა თავიანთი მისსია შეასრულეს —დაარსეს ქართული მუდმივი სცენა და ეს ისეთი ღვაწლია, რომ სხვას ვეღარას მოვთხოვთ ამ დიდ ჭირნახულს ადამიანებს.

დანარჩენი — განგრძობა საქმისა მეორე თაობის საქმეა და დღეს-დღეობით სწორედ ეს მინდა აღვნიშნო.

ბევრს გაეღიმება—ვინ არიან ეს მეორენიო? სად არის ნამდვილი მემკვიდრენი ჩვენის დიდათ მაღალ-ნიჭიერ არტისტებისაო?

და მართლაც... რომ ჩამოთვალოთ ეგრე ნიჭიერნი თითქო არც კი გამოსჩანს ჩვენი სცენის ახალ-გაზდობაში,

შეიძლება, როგორც ყველგან, ჩვენშიაც ინდივიდუალური ნიჭი გადაურიგდა მასსას, კოლექტივს და ჩვენს თეატრსაც დაუდგა ხანა საერთო მწყობრისა, ანსამბლისა, საერთო მთლიან სურათის შექმნისა.

მერე რა გგონიათ, ასეთი თეატრი კი არ არის ჩვენთვის სასურველი? განა ასეთ სცენას არ მოაქვს თავისი დიდი ნაყოფი, დიდი სარგებლობა? და მეც სწორედ ესა მგონია—ამ მეორე თაობამ უნდა შეიგნოს თავისი ფალი. მან უნდა შექმნას ანსამბლი. და უმთავრესად კი მან უნდა გაამეფოს რეალიზმი ჩვენს სცენაზე. ჩემის ფიქრით ეს არის მისი თავი და თავი მოვალეობა. პირველმა თაობამ დაამკვიდრა, შეჰქმნა ქართული სცენა. მეორემ რეალიზმი დამყაროს მუნ.

საზოგადოთ თეატრს ახლა დიდი, გარდამავალი ხანა უდგას. ათას-გვარი ახალი გზები ჩნდება, ჯერ ბუნდოვანად რასაკვირველია, მაგრამ მაინც გაცხარებული კვლევა-ძიებაა ხელოვნების სფერაში. ჩვენ, რა თქმა უნდა, ანგარიში უნდა გავუწიოთ ყველა ამას და, რავდენადაც შეიძლება, უნდა ვეცადოთ, რომ ჩქარის ნაბიჯით ვიაროთ და დავეწიოთ საუკეთესო თეატრთა მდგომარეობას, მაგრამ დღეს-დღეობით მაინც ჩვენი საკუთარი საქმე გვაქვს გასაკეთებელი. ახლავე რომ პირდაპირ ვისკუპოთ და, მაგალითად, ესრეთ წოდებულ „სტილიზაციას“ შევუდგეთ, უბუნებო საქმე იქმნება. ეს იმას ემგზავსება—სახლი გვქონდეს აშენებული, მაგრამ გადაუხურავი იყოს და ჩვენ კი ჭერის ხრახნილებზე დავიწყოთ ზრუნვა. პირველი საქმე ხომ სახლის გადახურვა უნდა იყოს ჩვენთვის. და მეც აგრე მიმაჩნია — ჩვენ თეატრს მშვენიერი და მტკიცე საფუძველი აქვს ჩაყრილი, კედლებიც აშენებულია, მხოლოდ სწორედ ეგ სახურავი აკლია დი აი მეორე თაობის მოვალეობაც ეგ არის, რომ ეს სახურავი მოიხერხოს, მხოლოდ რიგიანისა და ზედმიწევნილის მასალისაგან კი.

შეიძლება ამ მომავლის მუშაობაში ვერ შეთანხმდენ წინაპრები და მემკვიდრენი ე. ი. ჩვენი მხცოვანები და ახალგაზდები და ეს იქნება სწორედ ერთხელ კიდევ განმეორებული მამებისა და შვილების შეუთანხმებლობა, მაგრამ ამან არ უნდა შეაშინოს არც ერთი მხარე. მეორე თაობა იმიტომ, რომ მხცოვანებთან შეუთანხმებლად, თითქო ობლად რჩებიანეს მათი ყმაწვილური შეკრთომაა მხოლოდ, თორემ დამოუკიდებელ, „უაპეკუნო“ ბრძოლაში „მკლავი“ თვითვე „გაუმაგრდებათ“ და არ უნდა შეშინდენ ჩვენი დამსახურებული მსახიობნიც, რომ უიმათოთ ვითომ მათი საყვარელი საქმე დაიღუპება. მათ დიდი ბრძოლა გამოვლეს და ვალ-მოხდილნი პირ-ნათლად შესცქერიან განვლილ გზასა. მომავალი-კი, მომიტევონ და, მათ ხელთ არ არის, ეს ყველგან და ყველაფერში ასე ყოფილა და რა გასაკვირია, რომ ამ მიუცილებელ კანონს ჩვენც ვერ ავცდეთ.

ამიტომ კიდევ და უფრო ნუ შეეშინდება მეორე თაობას ჩვენი სცენის მუშაკებისას, თუ მოხუცებთან ჩამოშორებაც-კი მოუხდება.

იგი წავდეს. მხოლოდ ქონდეს ღრმა რწმენა თავის საქმისა. გაირკვიოს, რაცა აქვს გასაკეთებელი, რა არის დღეს-დღეობით მისი მოვალეობა, ნუ დაიზარებს გარჯასა და შრომასა და **მისი მომავალი** მისი იქნება.

უბედურებაა, როდესაც **შენი მომავალი** დაგეკარგება კაცს. ამას უნდა შეგნება, ამას მართლა უხუმრად უნდა ჩაუფიქრდეს ჩვენი ახალგაზდობა.

ისრე კი, პირადად მე, მის მოვალეობად დღეს-დღეობით ჩვენს სცენაზე რეალიზმის და მაშასადამე, ანსამბლის მწყობრ წარმოდგენათა დამყარება მიმაჩნია.

შეიძლება იკოტავონ ასეთი პატარა მისსია, მაგრამ თუ დაუკვირდებიან, მიხვდებიან, რომ ეს მოვალეობა, დიდია იგი თუ პატარა, თვით საქმის ვითარებამ არგუნა.

მე-კი პირადად ერთხელ კიდევ დავუბრუნდები ამ საგანს და ვეცდები გამოვარკვიო— რათა ვარ ასე თითქო ცალმხრივი, რათა მსურს მხოლოდ რეალიზმის დამყარება ჩვენს სცენაზე და რა მიზეზები მიმაჩნია ამის დასასაბუთებლად.

შალვა დადიანი

ამ დროს ვივიწყებ!..

რა რიგად მიყვარს მე თვე მაისი, მაღლა მთაზედა ტყეში რომ გისწრობს ამინდი მისი...

უეცრად ქარი ამოვარდება, ზნექავს ხეებს, აშრიალებს ფოთლებს!..

არე-მარეს გადაჰკრავს ქვიშისა ფერი, ცა ჯერ წინწკლებს სცრის, მერე უცებ შორს სადღაცა დაიგრიალებს და ტალღასავებ გრიგალი მთაბარს წამოუქროლებს!.. ჰექავს მრისხანედ, ელვა საშინლად მიმოანათებს და ღრუბლებ შიგან დაკლაკნილი სადღაცა ჰქრება!..

გრგვინვა-ქუხილი შესძრავს ღრუბელთ, ცა განრისხდება და წამოვა შხაპუნით წვიმა!..

ჰექა-ქუხილი კვლავ უმატებს, გრიალ-გუგუნით ღრუბლებს ბასრავს... იძვრის მთა-ბარი!.. ხმა ქუხილისა გადაგორდება სადღაცა ხევში და შორს მთებში ნელ-ნელ ყუჩდება, სანამ ხელახლად ხმა მისი არ განმეორდება!.. შხაპუნა წვიმაც ძლიერდება—ტყეს და მინდვრებს ჰბანს!.. ქარი წყნარდება... ცრემლით ნაბანი ფოთოლნი ცასა შესცინიან და ნაწვიმარიც, ათას ღვარად გადაქცეული, თავქვე ხევისკენ მიექანება...

გრგვინვა-ქუხილი ნელ-ნელ მშვიდდება... ღრუბლები ცას იფანტება, ოდნავ-ღა სცრის დედა-მიწაზე, ცა კეკლუცდება... მზე გამოაშუქებს და არე-მარეც, ზურმუხტად ქცეული, ნაზად ბიბინებს!..

ფოთოლ-ღეროებს ცვარნი აალმასებენ, აკაშკაშებენ... აღტაცებულნი ფრინველნი ტკბილის ხმით ჟღურტულებენ. მთისა წვეროზე გადმოეშვება ცისარტყელა და ცაც, გაბრწყინვებული, თვალწარმტაცად იღიმება!..

ხევში შხულით აზვირთებული ტალღა ტალღაზე მიექანება, ნაპირს მცენარეთ ელამუნება, კლდეთ ეხეთქება...

და ხმა ხევისა, საამურ ჟრიამულით, შიშის გრძნობით, ტყეში იფინება!..

მწყემსი ალერსით დაჰყურებს ფარას და, ბუნების სიმშვენიერით აღფრთოვანებული, ტკბილად არაკრაკებს სალამურს!..

ამ დროს ვივიწყებ ქვეყნის ჭირვარამს, დღიურსა სრბოლას, ზრუნვას!.. ვგრძნობ სიხარულს, და ბუნების დიადობაში მეც ზევმაღლდები!...

გიორგი ფოცხოველი

ეკატერინე გაბაშვილისა

სურათი

ყმაწვილი ქალის ცხოვრებიდან

მოქმედნი:

ელენა, ახალგაზდა ქალი
ქალია, მისი დედა
ფეფო } მსახურნი
პავლე }
ფოსტალიონი

I

ევროპიულად მორთული ოთახი. ერთ კუნჭულში სდგას ტახტი. მდივანზე ზის ელენე და წიგნსა კითხულობს. ტახტზე ზის ქალია და აბრეშუმს ართავს.

ქალია. კმარა მაგდენი კითხვა! რით ვერ ამოიკითხე ეგ საოხრო ისტორიები? მეც ადამიანი ვარ, ერთი ხმა გამეცი და.

ელენე. რა გნებავთ, დედა, რაზე გელაპარაკოთ? უეჭველია, მე რასაც გეტყვით, თქვენ სხვანაირად ახსნით და ბოლოს ჩვენი ლაპარაკი ჩხუბად გადაიქცევა. ისევ ისა სჯობია ჩუმად მისხდეთ და ჩვენი საქმე ვაკეთოთ.

ქალია. მეხი კი დაგეცა მაგ თავზე!. არა რა უგუნური დედაკაცი მე მნახე, რომ შენი ლაპარაკი ველარ გავიგო! შენისთანა იყო გიორგი კნიაზი, შენმა მზემა, რომ მთელი საათობით მელაპარაკებოდა ხოლმე.

ელენე. ეს წიგნი უთუოთ დღეს უნდა გავათაო, და, თუ შეიძლება, დამაცალეთ. გეხვეწებით.

ქალია. გაათაო ვინ იცის საღმრთო წერილის წიგნებს კითხულობ! სულ იმ წიგნებს კითხულობთ: ეს იმან შეიყვარაო, ეს იმანაო, ის კლდეზე გადაყარდა სიყვარულითაო და კისერი მოიტეხაო, იმან საწამლავი დალია და თავი მოიკლაო! მართალია, დილიდანვე ჟამნს დაადგები და სულისათვის იზრუნებ!

ელენე. ოხ, ღმერთო, რა უბედურობაა, რომ კაცმა თავისუფლათ წიგნი ვერ წაიკითხო! ჟამნი თქვენ იკითხეთ, სულისთვის თქვენ იფიქრეთ და მე თავი დამანებეთ.

ქალია. მეხი კი დაგეცა მაგ თავზე. დარიგებასაც რომ მაძლევ!

ელენე. ბატონო, დამანებეთ თავი თქვენი ღვთის გულისათვის!

ქალია. საწყალი, გული შეგიწუხდა? აბა ბიუბუტები, სტუდენტები გელაპარაკებოდნენ, მაშინ ლაპარაკით ხომ ყურებამდინ გაიტანდი ტუჩებსა!

ელენე. ღმერთო, რა ჯოჯოხეთია, საით გადავარდე, როგორ მოვისვენო..

ქალი. წადი რუსებთან ილაზღანდარე, გულმა ეგები მოგისვენოს..

ელენე. კმარა, შენი ჭირიმე, კმარა. ყოველ დღე ეს ამბავი საშინელებაა. ერთი წელიწადია რაც პანსიონიდან გამოველ და ყოველ წამს ამ დღეში ვარ, მოთმინებას საზღვარი აქვს..

ქალია. ყურებზე ხახვი არ დამაჭრა.

ელენე. (გადაგდებს წიგნსა) ღმერთმა კი შეარცხვინოს ამისთანა სიცოცხლე. (ამ დროს შემოვა ფოსტალიონი)

ქალია. (წასწვდება კონვერტს) აქ მომეც.

ელენე. ჩემთან გახლავთ. (დახედავს წიგნს, ძრიელ დგაუხარდება და ფოსტალიონს თეთრს აბაზის აძლევს) გმადლობ! (ფოსტალიონი გავა)

ქალია. ეგ რა ჰქენი? აბაზი და ფოშტალიონი ვის გაუგონია! ოხერი ფულები გაქვს! ერთი შაური ვერ გამიმეტია რომ ბაშმაკი დავაკერებინო..

ელენე. (მხიარულად) ეგ წიგნზეა, დედილო დამოკიდებული. ზოგიერთა წიგნი ისე სასიამოვნოა, რომ მანათიც არ არის დასაშური მომტანისათვის.

ქალია. აბა ერთი მიჩვენე—რა გესიამოვნა ეგრეთი.

ელენე. ვერ გიჩვენებთ, იმიტომ რომ ვერას გაიგებთ.

ქალია. როგორ თუ ვერას გავიგებ! ახლავ მაჩვენე, თორე თავზე გადაგაფხრეწავ. ვინ იცის —ვინ ოხრისგან მოგვიდა! მაშ მე ვერ უნდა შევიტყო!

ელენე. გეუბნებით, ვერ შეიტყობთ და სულ სხვა ნაირად ახსნით ამ წმინდა აზრებს, რომელიც ამ წერილშია გამოცხადებული.

ქალია. მამე, თორე დღეს დაგამწარებ!. (წასწვდება წასართმევად)

ელენე. (წერილს უბეში ჩაიდებს) გთხოვთ შორს დასდგეთ. ყოვლის გზით შეგიძლიანთ დღე გამიმწაროთ, მანამ თქვენ ხელში ვარ, მაგრამ ჩემ გულში ჩამოხედვის ნებას კი არ მოგცემთ.

ქალია. აქ მომეც, თორე, სახლში აღარ შემოგიშვებ!

ელენე. (საათს დახედავს) ხუთი საათია. დროა შკოლაში წასვლისა, „ურროკზე“ დამიგვიანდება, გზა მიბოძეთ გავიარო.

ქალია. მინამ წიგნს არ წავიკითხამ, გარეთ ვერ გახვალ.

ელენე. არაოდეს. გამატარეთ.

ქალია. (მივარდება) გულს გამოგაგლიჯავ, შე აშარო, შე უნამუსო!

ელენე. გეუბნებით კმარა, გზა მიყავით.. (დაუჭერს ხელებს, იქით მიაყენებს და გარედ გავარდება)

ქალია. (გამოუდგება) ხედავთ ამ აშარს, რას მიშვრება! ლამის ხელიდან არ გამექცეს... აი მოკვდი, გაწყდი, ცეცხლი მოგეკიდოს, შე აჯილღავ, შენა! (გავა)

II

ფეფო. (შემოვა, ანთებს სარკესთან სანთლებს და დაბარაკობს) ღმერთო, როდის მეღირსება, რომ ჩემი პატარა ქალბატონი გათხოვდეს. მაშინ უყურეთ ფეფოს, რა რიგად მოვიპრანჭები! ისეთ „პრიჩოსკებს“ გავიკეთებ, „კრასავიცას“ დავეგვანო.. ვენაცვალე ჩემ ელენეს. რა თავისუფალი ვიქნები, რა „ტანციებს“ გავმართავ. (აიწევს კაბის კალთებს და თამაშობს) ტრა-ლა-ლა! ტრა-ლა-ლა! როდის მოკვდება ქალალა. არა, დასწყევლოს ღმერთმა, გულის ძილში რომ ვიყო, მამაგლიჯავს ხორცს და ამ გულგახეთქილზე ცივცივ წყალს დამასხამს. საქმეში ხომ არ ჩამაფერხებს. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: სომეხს რომ საქმე გამოელის, მოსამსახურეს ქვას გაუგორებს და უკან გამოუყენებსო. იმ დღეს საგორავი ქვა ეყიდნა და მთელი დღე ბანი მატკეპნინა. ელენეს ხათრი რომ არა მქონდეს, ერთ დღესაც არ დავდგები. ელენე კი ყოველთვის მე მესარჩლება. იმ დღეს დიდმა ქალბატონმა მცემა და ელენე წეეჩხუბა, შენ ნება არა გაქვს გოგოსა სცემოო, ესეც ისეთი ადამიანია, როგორც შენაო. ღმერთო, რა ანგელოზია! ნეტა ყველა უმცროს-უფროსობაში ასეთი განსხვეაა? (თან თავს ისწორებს)

პავლე. (შემოვა) გოგოჯან, რას იპრანჭები, მე ეგრეც მამწონხარ.

ფეფო. ახლა მეცა მკითხე მომწონხარ თუ არა.

პავლე. ეგ საჭირო არ არის. ქალბატონი მყავდეს ცოცხალი, თორე შენ მოუწონებლივაც შეგირთავ. ან არა და, ფეფოჯან, რათ მიწუნებ? გაგიჟებით არ მიყვარხარ თუ? ღმერთმა ხომ იცის, შენ რომ გვერდით გამივლი ხოლმე, ჩემი გული ძაგაძუგით ლამის ამომვარდეს.

ფეფო. ოჩ ნუჟონო, შენი ცარიელი სიყვარული! შენი შალის ჩოხა კი არ დამახარბო.

პავლე. ოო, ვიცი შენ რაც მოგწონს: იმ მყრალი იმერლის მაუდის ჩოხა, იმის ჭრიალი წაღები და გაქონილი თავი!!

ფეფო. არა შენმა მზემ, შენ გიგავს იმას ვერცხლის ქამარ-ხანჯალი და საათი! შე საოდაო არც კი იცი სასმელია, თუ საჭმელი საათი! (გამოაჭიმება) ერთი იმის „ჩევო იზვოლიტე, ბარინ“ სულ გაგყიდის და გიყიდის.

პავლე. კიდეც ეგ „ჩევო იზვოლიტე'' დაგიყენებს თვალებს, იმერეთში რო გადაგიყვანს და მჭადით ამოგიყორავს მუცელს და იფნის სახრით დაგიზელავს გვერდებს.

ფეფო. მამა გიცხონდა შენცა და იმასაც. მე ხელსაც ვერავინ მახლებს. ქალაქის გზა ვეღარ გავიგე, საცა კი მივიდე ქალაქში, თვეში თუმანი ჩემთვინ გალესილია.

პავლე. მაშ ისევ იმერელს წაჰყე. ისინი არიან დაჩვეული ქალაქში ცოლების გასტუმრებას.

ფეფო. გასქდი, მოკვდი, იმას წავყვები იმას! ეგრე თვალებს დაგაბრეცინებ ქალამნებიანო!

პავლე. სუ, თორე მოკლავ! (წასწვდება ფეფოს. ფეფო სტოლს მიეჯახება და სტაქანს გადმოაგდებს. ამ ხმაზე კნეინა ქალია გამოვარდება ტოტხით ხელში)

ქალია. რაო, რა ამბავია? ჩემი სახლი თქვენ დაგრჩათ. სუყველა უნდა დაანგრიოთ და დაამტვრიოთ, გადით, გადით, თვალით არ დამენახოთ!

პავლე. ქალბატონო, სულ მაგის ბრალია (გოგოზე)...

ქალია. (გამოუდგება გოგოს. ფეფო დარბის სცენაზე) შე ურცხო, შე უნამუსოვ, შე უჯინშოს გაზრდილო! შენც შენი ქალბატონი გამიხდი, უნდა თავზე დამაჯდე! ორ-ორი სანთელი აგინთია და ჩემი სახლი ბიჭებთან საარშიყოდ გაგიხდია! დაგადნობ, შე უნამუსოვ, სისხლს გაგიშრობ, სისხლსა! (ფეფო გაჯარდება)

ქალია. გაგიგონიათ ეს ამბავი? მოსამსახურეს ზალაში რა უნდა? ეს სულ ჩემი ქალის ამბავია. დაქცეულიყო ის დღე და საათი, როდესაც მე ის პენციონში მივეცი. ახლა სულ ახალ-ახალ პლანებს მიწყობს, მოსამსახურე და ქალბატონი სულ ერთიაო, ორთავეს სულ ერთნაირი სული უდგათო, ერთნაირი სისხლი უტრიალებთ გვამშიაო. ჰაი და ჰაი! დიდ აღაგეურქაანთ ქალსა და მუჟიკ ფეფუას ერთ ნაირი სისხლი უტრიალებთ გვამში. შვილო, თუ ეგრეთი უმგსავსი გამოხვიდოდი, მუცელში გასწყალებოდი დედა შენსა...

ელენე. (შემოჯ) დედა, რაზედ ანჩხლობთ?

ქალია. როგორ თუ ვანჩხლობ! შენ როგორ მიბედავ მაგ სიტყვას ანჩხლობ, ჰა!

ელენე. მომიტევეთ. ნუ ყვირით, სტუმარი მოვიყვანე, რას იტყვის, უცხო კაცია.

ქალია. უცხოა! ეგ კარგად ვიცი, შენ მაინც სულ უცხოებზე გიჭყეტია თვალები. იმათთან რუსული ღიჯღიჯი ათას ჩემისთანა დედას გირჩევნია!

ელენე. გეხვეწები, დედა, ცოტას ხანს კიდევ მოითმინეთ, სტუმარია, გარედ იცდის, ნუ შემარცხვენთ.

ქალია. როგორ თუ სტუმარია? რა დროს სტუმარია, მე არა მესტუმრება რა, ცხრა საათია, მოხუცი ვარ, უნდა დავიძინო. იქით გადი, სანთელი უნდა გავაქრო!

ელენე. ნუ, შენი ჭირმე, დედა გენაცვა, ნუ შემარცხვენ, ეს ერთი კიდევ მოითმინეთ ჩემი შეწუხება და თუ ჩემთან ცხოვრება აღარ გინდათ, მაგაზე მერე მოვილაპარაკოთ.

ქალია. არა და არა! მე ჩემს სახლს აფიცრების საჯოგედ არ გავხდი! აქამდინ თავ-დაცული ვყოფილვარ და არც ახლა შეგარცხვენინებ თავს. წადი, შენ თითონ გაჰყე, საცა გინდა. იქით მეთქი, სანთელი უნდა გავაქრო! ან შენ ჩემ ნებაზედ უნდა მოიქცე და ან თვალიდან დამეკარგო.

ელენე. დედა, საკმაოა თქვენგან ჩემი ამდენი ტანჯვა! მეტი მოთმინება აღარ შემიძლიან და ან რისთვის-და უნდა მოვითმინო. რისთვინ უნდა გავაჩუმო ჩემი ყოველი გულის თქმა! იმიტომ რომ თქვენ მუახლედ გავხდე, იმიტომ რომ ყოველივე კაცობრიული თავისუფლება დავკარგო და ყოველს წამს თქვენგნით ამ ჯოჯოხეთში ვეგდო? არა, მე ამ ცხოვრებას სიკვდილს ვარჩევ. მშვიდობით. მე წავალ სხვა გზაზე, და არც მგონია ჩემმა არჩეულმა გზამ ცუდ საზღვარზე მიმიყვანოს. მადლობა ღმერთს ბედს ჩემთვის იმოდენა შეძლება მოუცია, რომ შემიძლიან სწავლა გავაგრძელო და, ადრე თუ გვიან, სრულს თავისუფლებას მოვეწიო. საკმაოა იმ პირების დაღუპვაც თქვენგნით, რომლებსაც არ შეუძლიანთ თქვენთან—ძველებთან არც ზნეობით და არც მატერიალური შეძლებით ბრძოლა.

ქალია. წადი, წადი! ისეთ გზაზედაც წასულხარ, რომელზედაც მამა ჩემმა და მამა შენმა გაიარეს...*)

1896 წ. **ეკატერინე გაბაშვილისა**

*) პირველად წაომოდგენილი იქმნა 1876 წ. ახალქალაქში. დაბეჭდილი იყო სერ. მესხის „დროება"-ში 1879 წ. № 13. **რედ.**

მწირი

გარს მახვევია შავი ლანდები,
კვალ და კვალ მომდევს ცხოვრების წყენა;
ქვითინით დავძრწი ეზრთა უფსკრულში,
სულს მიქეჯნს მწარე ზრახვათა დენა!..

ვიწვევ საბრძოლად სოფლის შემოქმედს,
ვსწყევლი მის ძალუმ იდუმალებას;
მკვეთრი მახვილით ვაპობ ბნელ ქვესკნელს,
ვაკრთობ, ვაზარებ კაცთა ღვთაებას!

მაგრამ... ღიმილი—ჩემს გოდებაზე
შუბლსა მიმშვენებს ეკლის გვირგვინით;
უძლურსა მასმევს შხამს და სამალას,
მაჭკნობს უდროოდ სულთქმა-ქვითინით!..

კიკნა-ფშაველა

გაათხოვეს!

მზემ ერთას წამწამით შემოაჭყიტა ფანჯარაში, მაგრამ საჩქაროდ მიიმალა, თითქოს ენანება არ გაალვიძოსო. მზემ შემოიხედა ოთახში და ფარდების სახეები ხელოვნურად ამოაგვირიშტა იატაკზე, კედლებზე და საბანზე. მზეს ბოლოს გული მოუვიდა — ასეთი გაუთავები ძილიც არ მინახავსო — და გაალმასებულის სახით შემოვარდა.

ლოგინში მწოლარე ყმაწვილმა თვალები ოდნავ გაახილა, გადაბრუნდა მეორე გვერდზე და ისევ ბურუსს მიეცა.

„როცა სდუმს“ — ფიქრობდა ნახევრად მძინარე — „გავიწყდება სურათის გონება და თუ ლაპარაკობს აღარ აქცევ ყურადღებას მობაასის მშვენირებას. მასთან რომ ხარ, ლმობიერი, ტკბილი და ნაზია ყველაფერი, რაც ირგვლივ ახლავს. მახსოვს ასეთი გრძნობა ბავშვობისას გამიმიცდია ჩემს ტევრში, წყაროს ძირში: გრილა; ბალახი რბილია; ჩუმი შრიალი ფოთოლთა მოისმის; რიკრიკებს ქვებზე ღარიდან ჩამოვარდნილი წყალი, ფაქიზდება გრძნობა; მშვიდდება გონება; მაგრამ საკვირველია: ხშირად ისე ვყოფილვარ მოჯადოებული, წყურვილ-მოკლული, სავსე ღარიდან განუწყვეტელ მარგალიტად მომდინარე წყაროთი, რომ ცივი ანკარა წყალი, გვირგვინი იქაურობისა არ დაამილევი. სხვაგან კი ესვამდი ღვინოს, რომელიც მძაგდა; წყალს, რომლის შედარებაც-კი არ შეიძლებოდა წყაროს ნექტართან.“

— შენ რაღა გინდა? ცოტა ნაწყენი შემოუბრუნდა ფიქრებიდან გამორკვეული ყმაწვილი თავზე მდგომს მსახურს.

— წერილი გაახლეთ.

— ვისგან?

— წირიშვილისაგან.

ყმაწვილმა საჩქაროდ დაიწყო კითხვა.

რაო?! კატო კუხიშვილს მიჰყვებაო? სანდროს?! ყველას მიათხოვებს მოძულებულს ქალს დედ-მამა, მაგრამ სანდროს?! სანდრო ხომ ღვთის ნააზრი არ არის და ადამიანის შექმნილი! ბატმა იფიქრა და ღრმა ტალახში ამოჩუჩქნა ვირის გასაზრდელი არსება—სანდრო, ალექსანდრე!..... მოიხსენე, უფალო, წიაღსა შენსა მხევალი ეკატერინე!“ დაცინვით წამოიძახა ყმაწვილმა.

— ბატონო, ბიჟი პასუხს ელის.

— ჰო, კარგი! მომიტანე საწერ-კალამი.

საპასუხო ბარათი მოკლე იყო:

„პატივცემულო ქალბატონო — სწერდა ლოგინში წამომჯდარი — დასაფლავების მომწყობი საზოგადოების წევრი არ გახლავარ. პანაშვიდებზედაც არ დავიარები.....“

ნ. ლორთქიფანიძე

აღტაცება

ვიშ სიხარული! ვიშ აღტაცება!
სულის მოლხენა და აყვავება!
გაზაფხულისა ტკბილი სიმღერა!
ჩემი მშობელი მეფე—ბუნება!
გულსა სწადიან ყველა ერთად სთქვას,
მაგრამ ენა არ ემორჩილება
და დიდი გრძნობა სიხარულისა
აღმოუთქმელი კვლავ გულში რჩება.
მუნჯი ვარ: სიტყვას ვეღარ ვახერხებ;
გული ბუდიდან იწევს აღგზნებით—
მსურს მთელს ბუნებას დავხედო მაღლით,
მსურს ზე ავფრინდე არწივის ფრთებით!..

ი. მჭედლიშვილი



გ. ვ. გედევანოვ-მირალიანი სხვა და სხვა როლებში.

კნუტ გამსუნი

კნუტ გამსუნი

(დასასრული იხ. „თეატ. და ცხოვ." № 16)

კნუტ გამსუნისათვის სიცოცხლე—მისმიერ შექმნილი ზღაპარია. ამ ზღაპარ-სიცოცხლის ერთად-ერთი ფერია სიყვარულია. ეს სიყვარული გამსუნის შემოქმედების ძირითადი მოტივია; გამსუნის სულისკვეთება სიყვარული, სიყვარული განუყოფელი, დაუჯილდოებელია, მტანჯველი—ბრძოლა ორი სქესის შორის, ბრძოლა სტიქიური, ტრაგიული. გამსუნის სიყვარულის ზოლი დაკლაკნილია, დახლართული; იგი ყოველთვის უეცრივ ჰქრება...

ამ გვარია სიყვარული **„პან"**-ში, **„ვიქტორიაში"**, **„რედაქტ. ლინდე"**-ში, **„სიცოცხლის დრამა-ში" „მაწანწალებში"**; ამ გვარი სიყვარულია ტერეზიტას ყოველივე ძიება. კნუტ გამსუნი დაფიქრებით ხატავს სიყვარულის სხვადა-სხვა მოტივებს. იოჰანესის უმწიკვლო სიყვარულის გარდა, პოეტმა იცის ის ბაღებიც, სადაც აღმოცენებულა გრძნობიერების იდუმალი, და მასთან საზიზღარი სოკოები. გამსუნის ნაწერებში თქვენ შეხვდებით სიყვარულს, რომელსაც თავდავიწყებამდე მიჰყავს ადამიანი (**„სიყვარულის მონები"**) და სიყვარულს ტრაგიკომედიულს (**„საბელი დედოფალი"**).

გამსუნის ნიჭის მძლავრი მხარე—მოქალაქეთა წვრილმანობის-გამო აღშფოთებაა. გამსუნის ეს აღშფოთება სატირიულ პათოსს აღწევს. Epater les bourgeois—მისთვის შვებაა: გამსუნი ჭკვიანი მეთვალყურეა, იგი ყველაფერს აშკარად ხედავს, რის გამოც მისთვის უცხო არ არის სიბოროტე.

გამსუნს ეზიზღება ნორვეგიელი მოქალაქის ფანტაზია, რომელიც შვრიაზე აღმოცენებულია. ნორვეგიელი მოქალაქის წვრილმანობას, უმიზეზო კმაყოფილებას გამსუნი დასცინის ყველგან: „ახალ ქვეყანაში", „რედაქტორ ლინდეში", პროფესორ გილინგის ხატებაში. იგი აღშფოთებით ხდის ნიღაბს ჟურნალისტების ოინებს, რისხვით ატყდება მოქალაქეთა ფუქსავატობას, წვრილმანობასა და უგუნურ მედიდურობას. ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ გამსუნის ამგვარი აღშფოთება არ არის შედეგი შეხედულებათა რომელიმე სისტემისა. ამგვარი აღშფოთების მთავარი მიზეზი გამსუნის ტემპერამენტია, არტისტიული ბუნება მწერლისა. ბრანდესის სიტყვით, კნუტ გამსუნს უყვარს თავხედობა, ეშმაკობა, სკანდალი მხოლოდ იმიტომ, რომ ყოველივე ეს საჭიროა მისი გენიალობისათვის.

რაიცა შეეხება გამსუნის ფილოსოფიურსა და საზოგადოებრივ შეხედულებათ, ისინი ძალიან ბუნდოვანი არიან, ვინაიდან მათ საფუძვლად უდევს ნიცშეს ფილოსოფიის უბადრუკი, ვულგარული კომენტარიები. გამსუნის ტრილოგია („აღსავლის კართან", „დრამა", „საღამოს ცისკარი") სავსებით ააშკარავებს გამსუნის მსოფლმხედველობის სიღარიბეს. ამ დრამების გმირი პროფესორი კარენო ახალ მეტაფიზიკაზე ოცნებობს, სწადია ყოველდღიურ სინამდვილის შეცვლა, დროისა და სივრცის კატეგორიათა ლიკვიდაცია; მისი სურვილი დღე და ღამე იცვლებოდეს ყოველს ოთხ წუთში. ქვეყანაზე არაფერია აბსოლუტიური—ამბობს კარენო—ამიტომ კვარცხლბეკზე ქიმერა უნდა იყოს გამეფებულიო. კარენოს (იგივე გამსუნის) საზოგადოებრივი შეხედულებანი უფრო განსაცვიფრებელია. კარენო წინააღმდეგია საყოველთაო განათლებისა, პარლამენტისა, პოლიტიკისა, დემოკრატიზმისა. იგი მომხრეა ახალი ნაპოლეონის მფლობელობისა, საზოგადოთ კარენოსათვის მსოფლიო ხაოსია: ცხოვრება ჩირადაც არა ღირს. სამართლიანობა—უსინათლო მხეცია. იგი განურჩევლად იძიებს შურს. კარენოს აზრით, სამართლიანობა ბრიყვი ტიუა, რომელსაც ჩექმები უკუღმა აცვია—ქუსლებით წინ. ამის გამო ვინც სამართლიანობას კვალ

და კვალ მისდევს, იგი გაცილებით შორდება მას.

სიცოცხლე—დრამაა. უბედურება სტიქიურია და არავითარი დამოკიდებულება არა აქვს საზოგადოების გულისნადებთან, ან სოციალურ არსებობის ფორმასთან. საზოგადო სიდუხჭირე კი არა—ციება, გადამდები სენი, ცეცხლი, შიმშილი ღუპავს ხალხს. ამგვარი სტიქიური უბედურებაა სიბერეც. ორმოცდა-ათ წელს გადაცილებულ ადამიანს აღარ შესწევს ძალა დასტკბეს სიცოცხლის სიამით; იგი ღალატობს სიჭაბუკის დიდებულ იდეალს და სტანჯავს ხალხსაც და სიცოცხლესაც. ამგვარი ადამიანი უნდა მოკვდეს. მოხუცი კარენოც კინაღამ მსხვერპლი გახდა თავისივე მოწაფის—ტარუსი, რომელიც აღაშფოთა კარენოს ღალატმა: კარენომ უღალატა თავის რწმენას და თეთრი კენჭი მისცა საყოველთაო განათლების ბიუჯეტს.

V

აშკარაა, გამსუნის შემოქმედებას არ ასულდგმულებს სოციალიური მოტივები. რჩება სიყვარული, რომელზედაც ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი; რჩება ლეგენდა, რომელსაც ჭქმნის თვით პოეტი, რჩება მისწრაფება ბუნების წიაღის-მიმართ.

გამსუნის რომანი ,,პანი'' ჰიმნია, ტკბილი საგალობელი ბუნების მიმართ. ეს რომანი ქებათა-ქებაა ძლევა-მოსილის პანისა, მისი ძლიერებისა და სიყვარულისა. კანის სულთქმა ისმის ყველაფერში: ქარიშხალშიაც, წყნარ სიოშიაც, ჩრდილოეთის ზამთრის თეთრ ღამეებშიაც, ჩრდილოეთის დიდებულ მთიებშიაც.

არც ერთს მწერალს-პოეტს არ შეუთვისებია ასეთის აღფრთოვანებით ბუნების საიდუმლოებანი, ასეთის სიხარულითა და სიყვარულით არ შერთვია მშვენიერ ბუნების ზეიმსა და მის დიდებულ სიცოცხლეს. ყოველივე ეს შესძლო მხოლოდ კნუტ გამსუნმა. ამის დამამტკიცებელია მისი რომანი ,,პანი''. ამ რომანის გმირი ლეიტენანტი გლანი თავის მხეცურ მსოფლმხედველობით—სავსებითი აღბეჭდვაა მამაკაცის იდეალისა, როგორც ეს იდეალი წარმოდგენილი აქვს გამსუნს. ქალის თვალწარმტაცი ტიპი—ეს ტერეზიტაა, რომელიც ეძებს მხოლოდ სიყვარულს, რომელიც ცოცხლობს მხოლოდ სიყვარულით, რომელიც უძლეველია თავის სტიქიური ვნებათა-ღელვით, რომელიც ყოველთვის უკმაყოფილოა და სიყვარულისა და ვნებათა-ღელვის დასაკმაყოფილებლად ზიზღით სთელავს ფეხქვეშ სიცოცხლის ყოველსავე საკითხს. ტერეზიტას სულში შეუძლებელია ორი გრძნობის არსებობა. იგი გაბედულად თანხმდება დანაშაულის ჩადენას, თუ ეს დანაშაული მის ბუნების ძირითად მოტივს არ შელახავს.

დასასრულ, მეტი არ იქნება გამსუნის სტილის დახასიათება. სტილი ადამიანია. გამსუნის ინდივიდუალობასა და მის სტილს შორის სრული თანახმობაა. გამსუნის სტილი იმპრესიონისტის სტილია; იგი უსაშუალო შთაბეჭდილებათა გამომხატველი ენაა, რომლის ტონი სიყრმისაებრ ჩვილი და გულუბრყვილოა. გამსუნის მოთხრობას არა აქვს გეგმა, თეორეტიული სქემა. შთაბეჭდილებანი მიჰქრიან განსაცვიფრებელის სისწრაფით და თანდათანობას მიუჩვეველნი, საშინელს ფერხულს უვლიან. ხატებანი სწრაფლ იკრებიან ავტორის სულში. სინამდვილე ჰქრება და მის ადგილას იკერს გალუცინაცია. ყოველივე ეს არ ითქმის გამსუნის დრამების შესახებ. მისი ტრილოგია დაწერილია რეალისტური ტონი.თ სცენიური და ტეხნიკური მოთხოვნანი ოსტატურად არის დაცული.

კნუტ გამსუნი ინდივიდუალისტურ ლიტერატურის მეტად საგულისხმო მოვლენაა. მისი შემოქმედება გვაგრნობიებს, რომ ადამიანში დამარხულია ჯერედ დაუხარჯავი ძალი, რომ ეს ძალა მშვენიერია, მომხიბლავი. მაგრამ მისივე შემოქმედება გვამცნობს, რომ ეს მშვენიერი, მომხიბლავი ძალა უნდა დაიღუპოს, ვინაიდან ადამიანმა გადალახა კავშირი თვის და კულტურის, კაცობრიობის შორის.

მშვენიერია ინდივიდუალიზმის სულის კვეთება, სურვილი სრულის განთავისუფლებისა. მცხინვარეა ლამაზი სიცოცხლე ადამიანისა, მისი პირადი განცდა. მაგრამ ამასთან ერთად შესაბრალისია მარტოდშთენილ ადამიანის უძლურება. არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ადამიანი სოციალური არსებაა. მისი პიროვნების ზრდა-განვითარება, მის განცდათა სისრულე და ავტონომია შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, რო-

დესაც პიროვნებასა და საზოგადოების შორის სრული თანხმობა, ჰარმონია დამყარდება. რასაკვირველია, ამასთანვე საზოგადოებაც გონივრულად უნდა იყოს განვითარებული და სოციალური არსებობის ფორმა აუტანელ ულლად არ უნდა აწვებოდეს ადამიანს. ხოლო თუ იარსებებს უთანხმოება პიროვნებასა და კოლექტივს შორის, თუ სულმოკლე ადამიანი კვლავ გაექცევა „ცხოვრებას საშინელს, შემზარკველს, აუტანელს“, ადამიანის ფაქიზი პიროვნება მუდამ სიკვდილის მსხვერპლი შეიქნება.

ამ მხრივ კნუტ გამსუნის პოეზია — მომაკვდავ ულტრა-ინდივიდუალისტურ ირრაციონალურ შემოქმედების უკანასკნელი გამოძახილია.

პეტრე დადვაძე

მეცხვარის გოდება

გაზაფხულდა... თოვლი დადნა,
აყვავილდა მთა და ბარი,
აღარ მქონდა ზამთრის შიში,
გამოვშალე ჩემი ცხვარი.
იქვე ველზე საამურად
ია ნაზად გაშლილიყო
და ცის ნამი ყვავილებზე
მძივებივით ასხმულიყო.

მაგრამ, დახე, სუსხმა ქარმა
დაჰკრა, კუდი მოიქნია,—
გადამიქნო მინდორ-ველზე
ჩემი ტურფა გულის ია;
და ამ ველზე ჩემი ცხვარი
აღარც ერთი დამდგარიყო,
შემწყვდეული ბნელ ფარეხში
მძიმე სუნით გამწყდარიყო!..

გ. შიხიანი

* *

(ეუძღვნი ფ. ჯ.-ს ასულს)

ციური ცვარი დაეცა გულზე
იას, შთენილსა ობლადა ველზე;
ზედ დააფრქვია ცხარე ცრემლები
და დაუკოცნო ორთავ თვალები
ცვარის შეხებით იამ იხარა,
და მის მკლავებზე თავი დახარა,—
სამოთხის ხმები მოესმა ყურში
და ცვარს მხურვალედ ჩაეკრა გულში!..

ნაპოლეონი

† ბიერსტერნე-ბიერნსონი

13 აპრილს, ღამით, პარიზში ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ნორვეგიელი პოეტი და დრამატურგი **ბიერნსონი**, დაბადებიდან 77 წლისა, ერთს დროს იბსენის მეგობარი, ხოლო შემდეგში მისი მოწინააღმდეგე. ლიტერატურული და სათეატრო წრე საკმაოდ იცნობს ბიერნსონისა და ბიერსენის შორის შუღლს. ეჭვი არაა, იბსენი გრანდიოზული გენიალობაა, მაგრამ ბიერნსონი უფრო ჰუმანისტია, მგრძნობიარე გულის პატრონი. ეს თვისებები ბიერნსონისა თავმდებია, რომ იგი ხასიათითაც სჯობდა იბსენს. დიდებულ იბსენს აღშფოთებდა და მოსვენებას არ აძლევდა ბიერნსოის სახელი. არც გასაკვირველია ვინაიდან ბიერნსტონმა სულ ადგილად მოიხვეჭა სახელი, მაშინ როდესაც იბსენი აუტანელი შრომით დაქანცული და იმედ-მიხდილი, იკაფავდა ეკლანარით დაფენილს ვიწრო ბილიკს. ბიერნსონის თეზი უფრო მარტივია და ყველასათვის აშკარა; არსებითად რეალისტური მისი ფხისოლოგია, ხან და ხან მისტიურ ჩადრში გახვეული, სრულებით არ ეხება საიმქვეყნიო უბსკრულს. ბერნსონი თავის დროის შვილია; ამიტომ არის იგი ასე გაღმერთებული, ამიტომ ადიდებს მას თანამედროვე საუკუნე. იბსენი თავის არწივის თვალებს ავლებს ბურუსში გახვეულს იდუმალ მომავალს; ამიტომ არის იგი ასე გაუგებარი თანამედროვეთათვის. ქრისტიანიაში, ქალაქის თეატრში, შესავალთან, სდგას ორი ქანდაკება—იბსენისა და ბიერნსონის, ეს ქანდაკება მაშინ აღიმართა, როდესაც მსოფლიო ლიტერატურას ორივე არწივი ცოცხალი იყო, ასლა-კი ორივეს ისტორია დაეპატრონა; რათა ადიდოს მათი სახელი ამიერიდან უკუნისამდე.

მღვდლის შვილი, ბიერნსონი დაიბადა 8 დეკემბერს 1832 წელს. ჩვიდმეტი წლის ბიერნსონი ჩა-

რიცხა სტუდენტათ უნივერსიტეტში. პირველი ცდა ახალგაზდა მწერლის ბიერნსონისა მარცხით დასრულდა მაგრამ ამ მარცხს არ შეუშინდა ჭაბუკის გული. არაადამიანურმა შრომის მოყვარეობამა და ზნეობრივმა სიფაქიზემ ჩქარა საქვეყნო სახელი მიაკუთვნა ბიერნსონს. იბსენისაებრ, ბიერნსონიც ერთ ხანად დირექტრობდა საუფლისწულო თეატრს. 1870—1872 წლებში მან აგო საკუთარი თეატრი, რომლის სცენაზე პირველად წარმოდგენილი იქმნა ბიერნსონის პიესები.

რუსეთში ბიერნსონს ნაკლებად იცნობენ, ვიეემ დასავლეთ-ევროპის სხვა კუთხეებში. იქ ბიერნსონის პიესებში „laboretis“ („ვიშრომოთ“) და ბევრიც სხვა ყოველი სერიოზული სცენის რეპერტუარის დედა-ბოძს შეადგენენ. რაიცა შეეხება რუსეთს იგი დაახლოვებით იცნობს სამს პიესას. ერთი მათგანი, სახელდობრ ,,მარიამ სტუარტი‘‘ ამ ოცი წლის წინად დადგმული იქმნა ალექსანდრეს თეატრის სცენაზე. ბიერნსონის სტუარტი სრულებით არა ჰგავს შილერის სტუარტს. ბიერნსონის მარიამი დედაკაცია მისი ხასიათი ყინიანია, თავისებური. საუბედუროთ ბიერნსონის ,,მარიამ სტუარტმა‘‘ მჭიდროთ ვერ მოიკიდა ფეხი რუსეთის თეატრის რეპერტუარში. სამაგიეროთ, მისმა პიესამ ,,ხელთათმანები‘‘ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და ხანგძლივად დაემკვიდრე რუსეთის სცენაზე, პიესის მორალურმა თეზისმა —მამაკაცმა შეუღლებამდე უნდა დაიცვას თავისი სქესის უმანკოება — ძალიან მიიზიდა საზოგადოება. ეს ის ხანა იყო, როდესაც ზემოხსნებული თეზისი არცა ვის ახსოვდა, ვინემ ტოლსტოის ,,კრეიცეციის სონატამ‘‘ რიდე არ ახადა ყოვლად ბინძურ მხარეს მამაკაცის უფლებისას. მას შემდეგ ბევრჯერ დაუდგამთ ,,ხელთათმანები‘‘; ახლახანაც დასდგეს იგი ალექსანდრეს იმავე თეატრში, მაგრამ ხალხი ძველებურის ყურადღებით არ შეეგება მას. არც გასაკვირველია, ვინაიდან თანამედროვე საზოგადოების აზრით „სქესი პრობლემებში გაიცვითა; ესაა მიზეზი, რომ სვავასამიერ გადაგდებული ხელთათმანი საზოგადოებას „vieux gau“-თ მოეჩვენა.

ბიერნსონის მესამე პიესას „გაკოტრებული“-ს ბედმა გაუღიმა. იგი პირველად წარმოდგენილი იქმნა სუვორინის თეატრში და მას შემდეგ ბევრჯელ გამეორებულა. რაც შეხება სხვა პიესებს, ბიერსონისას, მათ თითქმის არც კი იცნობს რუსეთი.

რაღა ითქმის ქართულს ლიტერატურაზე. ქართულს თეატრზე, რომელთაც დასავლეთ-ევროპის ბევრს მწერალს არც კი იცნობს. ბერნსონს უნდა ვიცნობდეთ ჩვენ. მისი მშობელი ერიც ერთ დროს ჩვენსაებრ დამონებული იყო, მაგრამ სამშობლოს მოტრფიალეთ ძალმომრეობაზე აშენებულ უნიას ძალავე დაუყენეს წინ და თავის მშობელს აკვანს თავისუფლება მიანიჭეს. მაგრმა არა მარტო ამიტომაა საყურადღებო ჩვენთვის ბიერნსონის სახელი **ბიერსონი ფაქიზი, ნამდვილი ადამიანია.** მისი დევიზი ზნეობრივი სისუფთავეა, უმანკოება, სახელმწიფოთა შორის მეუდროება. ბიერსონში დვივის კვაკერისა და პურიტანიზმის სული. იმავე დროს ბიერნსონი ოპტიმისტია, შრომის მომღერალია და პროგრესის მოტრფიალე. ბიერნსონის ჰუმანიზმი, ოპტიმიზმი და რწმენა ტურგენევისას თუ შეედრება და როგორც დოსტოევსკის არ შეეძლო გულ-დამშვიდებით წარმოეთქვა ტურგენევის სახელი, ისე იბსენს, მუდამ დაღვრემილს და გულჩათხრობილს, ეჯავრებოდა ბიერნსონი. ეს ორი ბურჯი ნორვეგიის თეატრისა მომასწავლებელია რაღაც პოლიარობისა: თუ მგელი ოდესმე მოულაქუცებს კრავს, მაშინ იბსენის მსოფლმხედველობა სავსებით ეზიარება ბიერნსონის თვალთსაზრისს.

ცისკარი

† მ. ლ. კროპივნიცკი

უკრაინამ დაჰკარგა სამშობლო სცენის ერთი საუკეთესო ხელოვანთაგანი. უკრაინა ვეღარ იხილავს კროპივნიცკის დაკვირვებულს და მოხდენილს თამაშს.

ჯერ კიდევ ახალგაზდა იყო კროპივნიცკი, სამსახური რომ მიატოვა და შეუდგა სცენაზე მოღვაწეობის დიდი ხნით შეგუბებულ სურვილის განხორციელებას.

1871 წლიდან ჩვენ ვხედავთ კროპივნიცკის, როგორც აქტიორს, ცხოველ ნიჭით დაჯილდოებულს. ვიცნობთ მას, როგორც რეჟისორს, გამოცდილსა და დაკვირვებულს. ვიცნობთ მას—უკრაინის სცენის **მამას** და ამყვავებელს.

კროპივნიცკამდენ აკრძალული იყო უკრაინულ პიესების წარმოდგენა... კროპივნიცკიმ პირველმა მოიპოვა უფლება ამ პიესების დადგმისა და მით საძირკველი ჩაუყარა უკრაუინულ თეატრს. ამ ხნიდან კროპივნიცკის სახელი ჰქუხს და გრგვინავს მთელს რუსეთში...

კროპივნიცკი ცნობილია აგრეთვე, როგორც დრამატურგი. მის კალამს ეკუთვნის ოცამდე საუკეთესო პიესა, 1882 წელს პირველად გამოვიდა მისი პიესების კრებული. 1885 მეორედ გამოიცა და 1895 წ. მესამედ.

მ. ლ. კროპივნიცკი გარდაიცვალა 8-9 აპრილს 1910 წ. ოდესიდან მოლტამდე მოგზაურობის დროს.

კროპივნიცკის მოღვაწეობა დიდს შესანიშნავია უკრაინის თეატრის ისტორიაში.

ცრემლი

ნინო

ცისა ნიავი, ცვარი და ნამი
მკრთალს პირისახეს ეფინებოდა,
როს ჩამოჰკრავდი ჩანგურს ნაზს თითებს
ყოველი სმენად გარდიქცეოდა.
ციურ სიმღერას, ვითა ბულბულსა,
ფიქრით მოცული ვუდგებდი ყურსა!
შენ კი, ლამაზო, განუწყვეტელად
ჰკრავდი, დაჰკრავდი მომხიბლველ სიმსა
და ზედ დამღერდი ნანას საამოს
ვითარცა დედა თვის ერთგულ შვილსა!

დათა ალლაძე

მუსიკოსი კ. ფოცხვერაშვილი

ექვსი წელიწადია რაც ქართული მუსიკის შესწავლა-შემუშავებას შეუდგა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენში და რუსეთში გამართა თერთმეტი დიდი კონცერტი. მრავალ სიმღერებსა და რომანსებს გარდა დასწერა ცოცხალ სურათებიანი სიმფონიური ესკიზი **„ბრძოლა ამირანისა ბაყბაყ დევთან“** და ერთ მოქმედებიანი ოპერა-ორატორია **„კერპთა დამხობა“** ორივე ეს ნაწარმოები ქართულ ხალხურ თქმულებასა და ჰანგებზეა აგებული. რუსეთის სტასტო ქალაქების სამუსიკო კრიტიკოსები ბ. ფოცხვერაშვილს, როგორც კომპოზიტორსა და დირიჟორს, დიდის პატივით იხსენიებენ. ახალგაზრდა მუსიკოსი კ. ფოცხვერაშვილი უკვე შეუდგა მზადებას და მაისის შუა რიცხვებში ქართ. თეატრში გამართავს კონცერტს.

გ. ვ. გედევანოვის იუბილეს გამო

ხუთშაბათს, 6 მაისს „არტისტიულ საზოგად.“ თეატრში ორი მოძმე ერის სცენათა მელპომენა სიხარულით გაუხსნის გულს თავის ერთი მსახურთაგანს **გ. გედევანოვ-მირალიანის** პატივსაცემლად შეკრებილ საზოგადოებას..

ეს მხნე მუშაკი მთელი მეოთხედი საუკუნე დაუღალავად ემსახურებოდა სასცენო ხელოვნების ღმერთის მისწრაფებათა გავრცელებას ხალხში...

გ. გედევანოვმა თავისი საპატიო წვლილი შეიტანა საძმო-სამეზობლო ტრაპეზზედ შესაწირავად...

ჩვენს სცენას ჰყავს პიონერები, ოცდაათსა და ორმოც წელს ნამსახურნი მსახიობნი რომელთაც, დიაღაც რომ ნარეკლიანი გზანი გადაქელეს და მადლიერ საზოგადოებას ჯერ მათი იუბილეთა გარდახდა ვერ მოუსწრია, მაგრამ იმდენად უფრო სიამოვნებით ვეგებებით გ. გედევანოვის იუბილეს, რომელმაც, როგორც სხვა ტომის შვილმა, შოვინისტური კედლები გაანგრია და ერთგულად ემსახურა ჩვენს სცენას... ამ მხრივ იგიც ერთი პიონერთაგანია...

ქართველნი და სომეხნო, სცენის ეს დაუღალავი მუშაკი ჩვენის გაერთიანების ერთიმესვეურთაგანია სცენაზე...

ახალგაზრდნო, თვალი გადაავლეთ გ. გედევანოვის განვლილ ნაშრომსა და ისწავლეთ, რა გზით შეიძლება ჩვენს სამეზობლო ასპარეზზე მუშაობა...

ი—ი

* *
*

მაღლა მთიდან ჩანჩქერი ხტის—
დაბლა სიპებს ეხეთქება,
მედიდურად ღრე-კლდეს ებრძვის,
გზას მიკვლევს, არ ჩერდება.
თან ცრემლს ჰღვრისდა თან ჰქუხს მედგრად,
არ ეძლევა მდუმარებას,
შეუპოვრად ზედ ასკდება,
ვინც მას უშლის მისწრაფებას.
ჩანჩქერისებრ გზას მივიკვლევ,
მუხთალ ბედს არ ვურიგდები;—
ჰე, სოფელო!—შემახვედრებ
რასაც ველტვი ვესწრაფები?!

ვ. ალულიშვილი

დ ი ქ ც ი ა

ფრანგულიდან

ტექნიკური მხარე

I

ხ მ ა

ტექნიკური მხარე დიქციისა დამყარებულია ორ საგანზე: ხმასა და გამოთქმაზე, ტონსა და სიტყვაზე. ხმის ორგანო განსხვავდება ხედვისა და სმენის ორგანოებისაგან იმითი, რომ ოპერაცია, მოქმედება ამ ორი უკანასკნელისა არის უნებური. გაახელთ თუ არა თვალებს—სინათლეა, გაადებთ თუ არა ყურებს—ხმაურობაა, თქვენ ჰხედავთ და ისმენთ თქვენდა უნებურად. ხმის ორგანო-კი სულ სხვაა. იგი მოქმედობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს თქვენი სურვილია: ადამიანი მაშინ ლაპარაკობს, როცა მას ჰსურს. ეს პირველი განსხვავებაა.

მეორე განსხვავება. თქვენ არ შეგიძლიანთ ხედვა ისე, როგორც თქვენ ეს გსურთ, არ შეგიძლიანთ ისმინოთ ისე, როგორც გინდათ, თუ, რასაკვირველია, არ მიჰმართავთ რაიმე ხელოვნურ საშუალებას, მაგალითად, ბამბას არ დაიცვამთ ყურებში, ან კიდევ თვალებზე პირბადეს არ აიფარებთ. ხმა კი სულ სხვაა; თქვენ შეგიძლიანთ ილაპარაკოთ მარდად ან მძიმედ, ყვირილით, ან ჩუმად; თქვენ ისე აწარმოვებთ ხმის მოქმედებას, როგორც გსურთ, იგი ემორჩილება თქვენს სურვილს. აქედან ნათლად სჩანს, რომ არ შეიძლება კაცმა შეისწავლოს კარგა სმენა, კარგა ხედვა (მე მატერიალურ ოპერაციებზე ვლაპარაკობ), და მაშასადამე არ არსებობს ისეთი ხელოვნება, რომლის დახმარებით, საშუალებით შესძლოს კაცმა კარგა ხედვა და სმენა, მაშინ, როცა კაცს ადვილად შეუძლიან შეისწავლოს კარგა ლაპარაკი, ხმის ხმარება, რადგან, როგორც ვსთქვი, ხმის მოქმედება ემორჩილება ადამიანის სურვილს.

ვეცდები გარკვევით ავხსნა ეს განსხვავება.

ხმის ორგანო მარტო **ორგანო** არ არის, არამედ **ინსტრუმენტიც**, ინსტრუმენტი, როგორც მაგალითად, პიანო. რა ახასიათებს პიანოს? მისი კლავიატურა. რისგან შესდგება ეს კლავიატურა? რამდენიმე სიქტავიდან (ექვსი ან ექვს ნახევარი); ეს ექვსი სიქტავა იყოფა სამ გვარ ნოტებად, მისი ნოტებია (basse) შუა ხმის ნოტები (mililu) და მაღალი ხმის ნოტები (zante). ამ ნოტების ხმა, ტონი ეთანხმება პრინციპიალურად სიმების სისქეს. (რამდენადაც სიმი სქელია, იმდენად ხმა დაბალია, ბოხი—basse) ჰქო და, ხმასაც აქვს ისეთივე კლავიატურა, როგორც პიანოს. ხმას აქვს ორი სიქტავი, როგორც პიანოს ექვსი, სამნაირი, სამგვარი ნოტი, როგორც პიანოს წვრილი და სქელი სიმები. როგორც პიანოზე არ შეიძლება კაცმა იცოდეს კარგა დაკვრა, მინამ არ ისწავლის, აგრედვე არ შეიძლება ადამიანმა, და განსაკუთრებით მსახიობმა იხმაროს თავისი ხმა კარგად, თუ ეს მან არ ისწავლა, ისე როგორც პიანო.

უფრო მეტი. როცა ჩვენ პიანოს მივიღებთ ხოლმე კარგ გამკეთებლისაგან, ანუ უკეთ როცა პიანო მცოდნე ხელოსნის ხელით არის გაკეთებული, მისი ხმა, ესე იგი, თვითეული ნოტის ხმა ყოველ შემთხვევაში სწორეა, იმ ნოტას აიღებს უვიცი კაცი, თუ კარგი არტისტი. ჩვენი, ყველას პატარა პიანო კი, რომელსაც გვაძლევს ბუნება, მაგარს თითქმის ყოველთვის რაიმე ნაკლი აქვს: ან სიმები აკლია, ან პატარა ჩაქუჩი კარგად ვერ ჰხვდება სიმებს. ან კიდე თვით სიმები მოშა რთული არ არის და მიტომ ჩვენი ნოტა ყალბია (fausse. фальшивъ). ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ ჩვენ თვითონ ჩვენი პატარა პიანოს მომართვა, და რაც ნაკლი აქვს—მისი შევსება, შესწორება.

ჩვენი სამნაირი ხმა: ბოხი დაბალი, მედიუმი (medium, ნიშნავს შუალა ხმას. ე. ი. ბოხისა და მაღალი ხმის შუა) და მაღალი ხმა, ეს სამივე ნაირი ხმა აუცილებლივ საჭიროა დიქციისათვის; მაგრამ მათი მოხმარება უნდა განსხვავდეს. და ეგრეც არის. რადგან თვითეული ჩამოთვლილი ხმა განსხვავდება თავისი ხასიათით და ძალით. ყველაზე მაგარი, ყველაზე სასიამოვნო, ყველაზე პლასტიური და ამასთანავე ყველაზე რეალური ამ სამ ხმიდან არის მედიუმი. „უმედიუმოთ კაცი მსახიობად არ გამოდგებაო“, ამბობდა საფრანგეთის გამოჩენილი მსახიობი მილე. მართლაც, რადგან მედიუმი არის ჩვეულებრივი ხმა, ამითი უნდა გამოითქვას ყველა ჩვეულებრივი, რეალური, ნამდვილი გრძნობები.

დაბალ ნოტებს ხშირად დიდი ძალა აქვსთ. აგრეთვე მაღალ ნოტებს, მაგრამ ამათი მოხმარება დროზე, და იშვიათ შემთხვევებში უნდა. მაღალი და დაბალი ნოტები, იცოდეთ, მალე ფუჭდება. თუ გადაჭარბებულად ხმარობთ მათ, იგინი მოიშლებიან და შემდეგ მყვირალა ყალბ ნოტებად გადაიქცევიან და ამასთანავე მთელი თქვენი პიანოც, თქვენი ორგანო, მთლად მოიშლება, და მისი გასწორება ძნელი იქნება. ხშირად მაღალი ნოტების ხმარება აფუჭებს

შესანიშნავ სიტყვას და მონოლოგებს. ბატონმა ბაერსონმა (სოფრანგეთის გამოჩენილი ვეშაპია) მაჰმადი რომ ერთხელ მან სასამართლოში საქმე წაგო, რადგან თავისი სიტყვა მაღლა ხმით დაიწყო შეცდომით. „რასაკვირველია, მაღლმა ხმამ, რომელიც სიტყვის დროს უფრო მაღლა მადიოდა, დაღლა და დალალულობამ იმოქმედა ჭკუაზე. დაბალი ხმა თუმცა ორატორს და მაშასადამე ჭკუას, იმდენად არა ჭდღის, როგორც მაღალი ხმა, მაგრამ იგი მოსაწყენია, ერთგვარი (მონოტონური). დაბალი ხმა ე. ი. დაბალი ნოტების ხმარება ხშირად, თითქმის ეოგელთვის ჭდღის მსმენელს, რადგან იგი ერუა მძიმე. საფრანგეთის გამოჩენილ მსახიობს ტალმასდო ჭეჭარდა ეს სენი, ხშირად ხმარობდა დაბალ ნოტების, მაგრამ შემდეგ საბალიერად მაღე მიჭხვდა, რომ ეს დიდი ნაკლი იყო, და ერთი-ორჯელ რომ გამოდანძდეს, მარდათ გაისწორა ეს ნაკელი. დიდ ხმის მუშაობა უნდა. მუშაობა ასწორებს, ამაგრებს, ატკბობს ხმას, ერთი სიტყვით მუშაობას დიქტიის ხმაზე ისეთივე გავლენა აქვს, როგორც მომღერალ ხმაზე.

ხშირად ამბობენ, გამოჩენილმა მსახიობებმა, როგორც მაგალითად ტალმმა, დუბრეკ, სალეინმ, **გაიკეთეს ხმაო;** ეს სწორე არ არის, ხმის გაკეთება არ შეიძლება, მაშინ, როცა იგი არ არსებობს, წინადმდეგ შემთხვევაში მისი დაკარგვაც არ შეიძლებოდა; არა, ხმა კი არ **გაიკეთეს** ამ არტისტებმა, არამედ მათ თავიანთი ხმა **გაასწორეს, განავითარეს**, გასამჯობესეს, როგორც გიმნასტიკით იმაგრებენ სხეულს და ბალსტიკას ახწევენ. სწავლით შეგიძლიანთ მოეზოგოთ ისეთი ნოტები, რომელიც წინად არა გქონდათ. ერთხელ, გამოჩენილმა მომღერალმა ქალმა მალიბრანმა საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა, იგი დაბალ ნოტიდან (re) ავიდა მაღალ ნოტამდის (re), ამგვარად სამი სიქტავი სულ „ტრელით“. კაიარა რასაკვირველია, ასეთი ხმა მას ბუნებრივი ჭქონდა, მაგრამ მიუხედავად ამისა ნახეკარი შრომით მიაღწია. როცა კონცერტის შემდეგ წავედით სცენაზე (ამბობს დეგუვე) გაკვირვების და ენტუზიაზმის გამოსაცხადებლად, მან მხიარულად გვითხრა: „ოჭ, მე ამ რეს დიდხანს ვეძებდიო! ერთი თვეა, რაც მე მას უკან დავდევ! უველგან თან დავდევ. როცა ომის ვიგარტნი, როცა ტანი ვიცვამ, როცა ბირს ვიბან, და ერთ დიდს ჩემს წადის სიდრმეში ვიპოვე, როცა ვიცვამდი“. ამ მაგალითით ნათლად ვხედავთ, რომ სწავლა და შრომა ხმისა მარტო კი არ აუმჯობესებს მას, არამედ მოსწავლესა და შრომელს შესძენს ისეთ ნოტებს, რომელიც მას არ დაჭვევა ბუნებით.

ერთხელ, კიდე, გამოჩენილი მსახიობი ქალი რაბელი თამაშობდა რასინის „ატალა“-ს. ადრ მახსოვს რომელ მოქმედებაში (ამბობს დეგუვე) ადრაზში ხალხი ტირიდა, რადგან რაბელი ისე ამბობდა სიტყვებს ტირილის ხმით.

წარმოდგენის შემდეგ რო ვნახე, ვკითხე: ეა სტენამ ადბად ძალიან დაგდალთ ისე სტირიდით მეთქი. „მე ვსტირიდი? სრულიადაც არა, მე კი არა ვსტირიდი, არამედ ჩემი ხმა სტირიდა“.

მოდელი ხმის ვარჯიშობისა. აიღეთ ბიანიზე ან რომელიმე სხვა საკრავზე ის დაბალი ნოტა, რომლის სიმღერაც თავისუფლად შეგიძლია. მაგალითად გსთქვათ ასეთი ნოტა გამოდგა დო. შემდეგ აიღეთ რომელიმე ფრაზა, რომლის უკანსკნელი სიტყვის უკანსკნელი ასოა ან **ო**, ან **ა** ან **ი**. მაგალითად ფრაზა სიმღერიდან „ადრ ვიტი, ვის მიეგენდო“. „დო“— ხმაზე დაიწყეთ ჩუმად, შემდეგ რათა კარგად ისუნთქოთ, „ადრ ვიტი ვის მიეგენდო“ ან და მაღლა ხმით და უკანსკნელი — დო სულ მაღლა, რაგდენადაც შეგიძლიანთ, მხოლოდ მძიმედ, აუჩქარებლივ. როცა სუნთქვა ადრ გეეოფვთ, შეასუნთქეთ მაგრამ ნოტა გამოიტვალეთ; ისე კი უნდა იყოს, მაგალითად, უკანსკნელი ოოოო, ან ااا, ან ییی—ჯერ მაღლა ხმით დაიწყოთ და შემდეგ უკლოთ ხმა, როგორც მომღერლები, ეს არ გამოდგება და მსახიობისთვის მაგიბელიც არის. სულ მაღლა ხმაზე უნდა მადიოდეთ (fforto).

და ასე, ამ გვარად ანვალთ იმ ნოტამდის, რომელამდისაც შეგიძლიანთ მხოლოდ სიბრთხილე გმარიეთ. უცებ მაღალი ნოტები არ აიღთთ ე. ი. ძალა არ დაატანოთ თქვენს თავს.

ამისთანა ვარჯიშობისთვის დღეში 15 წუთი სრულიად საკმარისია, მეტი არც კი ვარგა. ბირველ ხანებში, ძნელი იქნება შეჩვევა, უელიტ აგტკივდებთ, მაგრამ ეს უელის ტკივილი და სიძნელე მაღე გაივლის და სამს კვირაში ამისთანა მუშაობის შემდეგ შეატეობთ თქვენს ხმის ცვლილებას.

ამისთანვე თუ უელმა ძალიერ გიწეოთ ტკივილი, სჯობია რამდენიმე ხნით მოსვენოთ მუშაობა, და **რ**ოცა გაივლის ეს ტკივილი, ხელახლად შეუდგეთ.

მამაკაცების (და ზოგ დედაკაცების), განსაკუთრებით მსახიობების, შეგობრულად გურჩევ, თუ ჭსურთ დამაზ ხმას მუშაობით მიაღწიონ, ბევრი ბაბირისი არ მოსწიონ, ბევრი არ სვან ალკოგოლი და ნამეტანვად ერიდენ გადაკარებულ „სიეუარულს“ ამაზე მაგნებელი ხმისთვის არა არის რა.

კიდე მეორე საგარჯიშო ხმისა ეს ხმა მაღლა კითხვა: ისწავლეთ ზეპირად დეკლამაცია, მონოლოგები, რაც გნებავდეთ, და მაღლა ხმით, თითქმის უვირილით, იკითხეთ. მაგრამ არც ამის უნდა გადაკარება. ერთი საათი, ან საათ-ნახევარი დღეში საგმარისია.

ეს გარჯიშობა ჭკმის შემდეგ იმ წამსვე არ უნდა დაიწყოთ. დაიცადეთ ერთი ან ორი საათი.

გიორგი ჯაბადარი

რედაქტორ-კამმტემელი **იოსებ იმედაშვილი.**

განყოფილება „**პროგრესის**“ სტამბისა, სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა სახლი

სამანუფაქტურო ამხანაგობა

ნაზაროვისა და ოტიევისა

ერევნის მოედანზე, ქალაქის გამგეობის დარბაზის ქვეშ.

ყოველდღე მოსდით აბრეშუმის, მატყლის, ტილოს და ბამბეულის დიდძალი საქონელი

უკანასკნელი მოდისა

ამხანაგობა პატივცემულ საზოგადოების ყურადღებას მიაქცევს საქონლის ღირსებასა და დღემდის არ ყოფილ სიიაფეზე

სყიდვა შეუვაჭრებლად 20—5

განცხადება.

ქართული მწერლობა საზოგადოდ ვერა სდგას კარგ ნიადაგზე, მაგრამ ყველაზედ უფრო მეტი უბედურობა კი ჩემ ნაწერებს ეწვია: ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში ორი პატარა ტომის მეტი არ გამოსულა, მაშინ როდესაც რამდენიმე ათეული მაინც უნდა გამოცემულიყო. ამის მიზეზი ხელმოკლეობა და დაუდევრობა იყო. რადგანაც ეს ორივე მიზეზი დღეს თავიდან აცილებულია, მე თვითონ განვიზრახე სრული ჩემი ნაწერების გამოცემა ამგვარად: გამოვა კრებული ყოველ თვიურად, წელიწადში თორმეტი წიგნი, ორას ფურცლიანი. პირველ ას ფურცელზე იქნება დაბეჭდილი ჩემი ახალი ნაწერები ჯერ სრულიად არსად დაბეჭდილი და მეორე ასზე კი ძველი, უკვე სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი აქა-იქ, მაგრამ გასწორებული და შენიშვნებით, თუ რა დრომ და ვითარებამ გამოიწვია ეს ანუ ის თხზულება. (მასალები მთელი წლის ე. ი. **12** წიგნისა მზადაა).

წლიური ფასი ერთი თუმანი, რომელიც განაწილდება ოთხად. თითო წიგნი-კი ეღირება თითო მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ჯერ-ჯერობით: თბილისში, წერა-კითხვის საზ. კანცელარიაში, ქუთაისში მთავრიშვილისა და ისიდორე კვიცარიძის წიგნის მაღაზიებში, დაწვრილებით შემდეგში.

აკაკი.

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისთვის

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ჩვენი გაზეთი“

1910 წელსაც გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წინად გამოდიოდა. გაზეთი წლიურათ ეღირება თბილისში და თბილის გარეთ 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., საზღვარგარეთ 14 მან. წლით, ნახევარი წლით 7 მან., ხელის მოწერა მიიღება თბილისში „მომავლი“-ს კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კვიცარიძესთან, ჩოხატარუში ს. თავართქილაძესთან —წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში—მ. თალაქვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში—პ. ურუშაძესთან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: **Тифлисъ, тип. „Шрома“, Калистрату Кон. Цуладзе.**

განყოფილება **„პროგრესის“** სტამბისა, სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა სახლი